მხარდამხარ

ქუჩაში იშვიათად შეხვდებით გამვლელებს: დიდ-პატარა, ვისაც კი ძალა ერჩის, ბაღ-ვენახებში გაკრეფილა. ახლა კახეთის რაიონებში ვაზისა და ნახნავ-ნათესის გადასარჩენად დიდი ლაშქრობაა გაჩაღებული და დროს უქმად არავინ კარგავს. გულქვა უნდა იყო კაცი, რომ აუღელვებლად ჩაუარო სეტყვისა და წვიმებისაგან გაჩანაგებულ ზვრებს.

ბუნების ჭირვეულობამ ვერ გატეხა მევენახე. გურჯაანის, წითელწყაროს, ყვარლის, სიღნაღის, ახმეტისა და სხვა რაიონების მშრომელებს მართლაც მთელი საქართველო ამოუდგა მხარში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად, აქეთკენ დაიძრა მრავალრიცხოვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მხარში ამოუდგნენ რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებათა მუშაკები, ინტელიგენციის, მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ადგილებზე შეიქმნა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის შტაბები, ოპერატიულად ჩატარდა პირველი აღდგენითი სამუშაოები. ვიმეორებთ: აღმოსავლეთის რაიონების გადარჩენილი მოსავლის მაქსიმალურად შენარჩუნებისთვის ბრძოლა მთელი რესპუბლიკის საქმედ იქცა. რედაქციაში მივიღეთ ცნობები, რომ მთელ რიგ რაიონებში შეიქმნა მოხალისეთა ბრიგადები, სადაც ფიზკულტურელები და სპორტსმენები გაერთიანდნენ. მევენახეებს თბილისელებიც ამოუდგნენ მხარში. დედაქალაქის **ფიზკულტურის ტექნიკუმის** სპეციალური რაზმი სამუშაოდ სიღნაღის რაიონის სოფელ ხირსაში გაემგზავრა.

— რაზმში 40 მოსწავლე და 7 პედაგოგი გაერთიანდა, — გვითხრა ტექნიკუმის დირექტორმა **ვ. კინკაძემ**, — ისინი 4 დღის განმავლობაში ეხმარებოდნენ ხირსის მევენახეებს ვაზის სხვლაში, წამლობაში, სეტყვისგან დამტვრეული ტოტების მოცილებაში. რაზმის წევრთა უმრავლესობა სოფელშია გაზრდილი და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მათთვის უცხო არ არის. სამწუხაროდ, ბოლო დღეებში გადაუღებლად წვიმდა და იძულებული გავხდით უკან დავბრუნებულიყავით. ისე კი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შევპირდით: როგორც კი გამოიდარებს, კვლავ გავაგზავნით ახალ რაზმს. ერთი სიტყვით, სიგნალს ველით და დასახმარებლად მზად ვართ.

ფიზკულტურელებისა და სოფლის მშრომელების ურთიერთმეგობრობის ამბავი ახალი არ არის. შემოდგომაზე კახეთის რაიონებს არაერთხელ სწვევია ცნობილი სპორტსმენებით, ფიზკულტურის ინსტიტუტის და ტექნიკუმის სტუდენტებით დაკომპლექტებული ბრიგადები და მასპინძელთა მადლობაც არაერთხელ დაუმსახურებიათ რთველში აქტიური მონაწილეობისთვის. დღეს კი, როცა სტიქიამ ასე გაიმეტა ჩვენი ბაღ-ვენახები, თავი ყველამ მოვალედ ჩათვალა მევენახისთვის კვლავ გაეწვდინა დახმარების ხელი. დიახ, მეგობრობამ ჭირისა და ლხინის გარჩევა არ იცის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 108
(7169)

6 ივნისი, 1982 წ.
კვირა.
ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მილოცვა

დელი. 4 ივნისს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მიიღო საბჭოთა ალპინისტები, რომლებიც სამშობლოში მომავალნი გზად დელიში შეჩერდნენ. ინდირა განდიმ აღტაცება გამოთქვა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის დამპყრობი საბჭოთა სპორტსმენების გმირობის გამო. პრემიერ-მინისტრმა გულითადად მიულოცა მათ წარმატება და ყველა საბჭოთა სპორტსმენის მიმართ გამოთქვა საუკეთესო სურვილები. ინდოეთის მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ინდოეთისა და საბჭოთა ალპინისტების, და საერთოდ ორივე ქვეყნის სპორტსმენების მეგობრული კავშირების განმტკიცების მნიშვნელობას.

საბჭოთა ალპინისტებმა ინდირა განდის გადასცეს სპეციალური ვიმპელი — ექსპედიციის მონაწილის ნიშანი. პრემიერ-მინისტრმა დიდი გულისყურით მოისმინა მათი ნაამბობი ევერესტის დაპყრობის თაობაზე.

(საქტაგი).

● ●

8 ივნისს მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში (ზუბოვსკის ბულვარი, 4) 11 საათზე გაიმართება ევერესტის ლაშქრობის საბჭოთა ექსპედიციის მონაწილეთა პრესკონფერენცია.

სსრ კავშირი— 5 ფილმით

გუშინ ტურინში (იტალია) დაიწყო სპორტული ფილმების 38-ე საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 19 ქვეყანა მონაწილეობს. აქ თავიანთი ნამუშევრებით ჩამოვიდნენ აშშ-ს, ინდოეთის, იტალიის, კუბის, უნგრეთის, საბერძნეთისა და სხვათა წარმომადგენლები. ფესტივალზე სსრ კავშირის 5 მხატვრულ და მოკლემეტრაჟიან ფილმს აჩვენებენ.

ფესტივალის ჟიურის ხელმძღვანელობს სოკ-ის საპატიო პრეზიდენტი ლორდი კილანინი.

ტრადიციის დაბადება

გასულ კვირას ხალხმრავლობა იყო გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კულტურის სახლში. აქ შეიკრიბნენ სოფლის მშრომელები, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები. „კიდევაც დაიზრდებიან“ — ასე უწოდეს ტყვიაველებმა თავიანთ ლამაზ და შინაარსიან დღესასწაულს, რომელიც ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება ძველი და დრომოჭმული დღეობების ნაცვლად.

საზეიმო შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ სოფლის ხელმძღვანელი მუშაკები, ილაპარაკეს ლადო კეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის მშრომელთა მიღწევებზე. ტყვიავის საპატიო მოქალაქის მოწმობები გადაეცათ შრომის ვეტერანებს, სოფლის გამოჩენილ ადამიანებს. შეკრებილებმა კულტურის სახლის ეზოში დარგეს ხეები, ყვავილებით შეამკეს ნ. კეცხოველის ძეგლი, დაათვალიერეს ცნობილი რევოლუციონერის სახლ-მუზეუმი.

შემდეგ ზეიმმა სოფლის კულტურის პარკში გადაინაცვლა. საჭიდაო სარბიელზე ფიცხელი პაექრობა გაიჩაღეს მუხლმაგარმა ბიჭებმა — ტყვიაველმა და მეჯვრისხეველმა, კარალეთელმა და შინდისელმა, ფლაველმა და სკრელმა ფალავნებმა. საღამომდე გაგრძელდა ზეიმი, ცეკვა და სიმღერა, სპორტული ასპარეზობა.

* * *



სურათებზე: ლ. კეცხოველის სახლ-მუზეუმში; ქართულ ცეკვას ქართული ჭიდაობა მოჰყვა; ზეიმის მონაწილენი.

ვ. გენგიურის ტექსტი და ფოტოები.

საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

პრიზები ერევნიდან

ერევანში „სპარტაკის“ ტრეკზე გაიმართა ახალგაზრდა სპორტსმენთა პირადი საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც 1964-66 და 1967-68 წლებში დაბადებული ველოსიპედისტები ცდიდნენ ძალებს. ამ შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს ოლიმპიური მზადების ცენტრ „ივერიის“ სპორტსმენებმა, რომლებმაც შვიდი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. სურმავას წარმატება. მან 1 კილომეტრზე ადგილიდან გიტში ყველაზე უკეთესი დრო — 1.07,5 აჩვენა და პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ამავე ასაკის (1964-66 წლებში დაბადებულნი) სპორტსმენთა შორის 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მესამე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ა. მიკუჩაძემ.

უმცროსი ასაკის ველოსიპედისტებიდან სპრინტში I და II ადგილები ხვდათ წილად თბილისელებს — ა. სხირტლაძესა და ი. გველესიანს. გველესიანმა „ბრინჯაო“ მოიგო 1 კილომეტრზე გიტშიც. 3 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში II ადგილი დაიკავა თბილისელმა დ. ტარასენკომ, ხოლო 60 წრეზე ჯგუფურ რბოლაში მესამე შედეგი ჰქონდა თ. გიგოლაევს.

საქართველოს ველოსიპედისტები ამ შეჯიბრებისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ეგანოვმა და სპორტის ოსტატმა რ. კუპრეიშვილმა.

პენზის ტრეკზე

4 დღეს გაგრძელდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა და იუნიორთა პირადგუნდური პირველობა ველოსპორტში. ჭაბუკთა შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სპორტსმენები, რომლებმაც რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, თურქმენეთის, უზბეკეთის და ესტონეთის ძლიერ კოლექტივებთან დავაში საერთო პირველობა დაისაკუთრეს.

პირად შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ო. მჭედლიშვილმა, რომელმაც 3 უმაღლესი ხარისხის ჯილდო მოიპოვა: პირველი იყო სპრინტში, 500 მეტრზე ადგილიდან გიტში და 3 კილომეტრზე გამოდევნებით წყვილთა რბოლაში ოსტატობის კანდიდატ ა. სხირტლაძესთან ერთად.

თავის მხრივ ა. სხირტლაძემ III ადგილები დაისაკუთრა სპრინტში, 500 მეტრზე გიტში და 30 კილომეტრზე გამოთიშვით ჯგუფურ შეჯიბრებაში.

იუნიორების ტურნირში თბილისელმა ოსტატმა მ. ხუციანიძემ სპრინტში II ადგილი დაიკავა.

საქართველოს „შრომითი რეზერვების“ ველოსიპედისტები ამ შეჯიბრებისთვის მოამზადა რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. დადუნაშვილმა.

ა. ბაქრაძე.

არის ახალი ბაზა!

თერჯოლის რაიონში ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა და კვლავაც კეთდება მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის ასამაღლებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტული ნაგებობების მოწყობას. ახლა რაიონის ყველა სოფელშია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, რეგულარულად მუშაობს სხვადასხვა ზომის 8 საცურაო აუზი, სოფელ ჭოგნარში და დაბის ცენტრში საჭადრაკო კლუბებიც გაიხსნა, აშენებენ სტადიონს, რომელსაც 10 ათასი მაყურებლისათვის ექნება ტრიბუნები.

ახლახან თერჯოლაში გაიხსნა სასტენდო სროლის ბაზა, რომელსაც შეფობს სასურსათო კომბინატი. უკვე შეიქმნა რაიონის გუნდი, რომლის წევრები და სხვა მსურველები ამ ბაზაზე რეგულარულად ვარჯიშობენ.

ნ. ბამურელიძე,

თერჯოლის რაიონული გაზეთის „წინსვლის“ რედაქტორის მოადგილე.

ფიზიკური კულტურა და სპორტი— ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში!

დღეს, 12 საათზე, ზემო ვერის დასახლებაზე (სევასტოპოლის ქ. № 4), შედგება ახალი სპორტული კომპლექსისა და კალინინის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.

სპარტაკიადა ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს.

ამ დღეებში ზეიმით აღინიშნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ 60 წლის თავი. ექვსი ათეული წელიწადია ეს სახელოვანი კოლექტივი წიგნის გამოცემის დიდ საქმეს ემსახურება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნათქვამია, რომ „გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ იმთავითვე მოგვევლინა როგორც პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერული და სასწავლო ლიტერატურის გამოცემის შემდგომი გაფართოებისათვის მებრძოლი ორგანო, რომლის მრავალმხრივი საქმიანობა ყოველთვის საფუძვლიანად და დამაჯერებლად ასახავდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებს“.

იუბილესთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, მწერალ გურამ ფანჯიკიძეს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

„ლელოს“ ინტერვიუ

მკითხველი რომ კმაყოფილი დარჩეს...

● გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ უდიდესია რესპუბლიკაში და მის მიმართ მოთხოვნებიც ალბათ განსაკუთრებულია.

— ჩვენი გამომცემლობა არა მარტო უდიდესია, არამედ უნივერსალურიც, „საბჭოთა საქართველოს“ ცხრა რედაქცია აქვს და აქ გამოცემული წიგნები ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს. ციფრების ენით თუ ვილაპარაკებთ, ყოველწლიურად აქ გამოდის 500 დასახელების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი სამ მილიონ ეგზემპლარს აღწევს. აქვე შედარებისთვის გეტყვით, რომ ამ ორგანოს დაარსების პირველ წელიწადს, 1921 წელს (მაშინ მისი სახელწოდება იყო „სახელმწიფო გამომცემლობა“ ანუ „სახელგამი“) მთლიანი ტირაჟი მხოლოდ 100 ათას შეადგენდა. გადიოდა წლები, პარტია და მთავრობა სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა წიგნის გამოცემის საქმეს. მტკიცდებოდა საგამომცემლო-პოლიგრაფიული ბაზა, გამომცემლობაში სამუშაოდ მოდიოდნენ ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. განსაკუთრებული ძვრები მოხდა 1957 წელს, როცა რეორგანიზაციის შემდეგ გამომცემლობას „საბჭოთა საქართველო“ ეწოდა.

ჩვენში რომ წიგნს ოდითგანვე დიდ პატივს სცემდნენ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა უკვდავი ქმნილებები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. ავტორსა და მკითხველს შორის შუამავლის როლი გამომცემლობამ იკისრა და, უნდა ითქვას, ეს მეტად საპასუხისმგებლო მისიაა. ჩვენი გამომცემლობის სამომავლო გეგმები საკმაოდ ფართოა და მრავალმხრივი. ისტორიულ-პარტიულ, პოლიტიკურ, მეცნიერულ, მხატვრულ, დარგობრივ და სასწავლო ლიტერატურასთან ერთად ჩვენთან იბეჭდება წიგნები სპორტზე, ფიზკულტურაზე, ტურიზმზე, ამ საქმეს მხარეთმცოდნეობისა და სპორტული ლიტერატურის რედაქცია განაგებს.

ადრე გამოცემულ სპორტულ წიგნებს კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი და მათზე არ შევჩერდები. წლეულს უკვე გამოვიდა ო. გაგუას „არის! ასრულდა ოცნება“, წარმოებაშია ა. გურასაშვილის „მიჯაჭვული ამირანის ძებნაში“, ვ. ვასილიევის „მოზღვავებული სიკეთე“, შ. ქირიას „დიდების მწვერვალზე“, გ. მახარაძის „მამაკაცთა პირისპირ“, ა. მილანოვისა და ი. ბორისოვის „იოგების ვარჯიშები“, გ. ფაცურიას, მ. გულიევისა და დ. მჭედლიძის „მსოფლიო სტადიონებზე“ და სხვა. აქვე ვიტყვი, რომ ამ დღეებში მასობრივი ტირაჟით გამოიცა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი პლაკატები.

სპორტულ ლიტერატურაზე მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდია და ამას უპირველესად თვით სპორტული სამყაროს თავისებურება და მრავალფეროვნება განაპირობებს. თანაც სპორტის მასშტაბები სულ უფრო იზრდება, იმართება უმაღლესი რანგის საინტერესო ასპარეზობანი, რომელთა შესახებ გულშემატკივარს ყველაფერი აინტერესებს. ერთი სიტყვით, მკითხველი ჩვენგან კვლავ მოელის ახალ-ახალ წიგნებს, სადაც საფუძვლიანად იქნება გაანალიზებული ესა თუ ის დიდი სპორტული მოვლენა, ცალკეულ სპორტსმენთა მიღწევები, სპორტული მოძრაობის თავისებურებანი.

● სტატიებში, წიგნებში ადრეც არაერთხელ გამოგიხატავთ სპორტისადმი თქვენი დამოკიდებულება. ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თქვენი წიგნები: „მექსიკა ბურთით და უბურთოდ“, „ფეხბურთის სამშობლოში“, „არგენტინა, არგენტინა“...

— განსაკუთრებით გამახარა თბილისის „დინამოს“ შარშანდელმა გამარჯვებამ ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ქართული ფეხბურთის ამ დიდ დღესასწაულს მიუძღვენი წიგნი „დი-ნა-მო!“, „დი-ნა-მო!“ ფეხბურთთან და ფეხბურთელებთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, თავის დროზე მეც გამოვდიოდი მწვანე მოედანზე, გატაცებული ვიყავი ჭიდაობით, მთამსვლელობით, როცა ჟურნალ „განთიადს“ ვრედაქტორობდი, ქუთაისის ტორპედოელთა ხშირი სტუმარი ვიყავი. სტუმარი კი არა, ორი წელიწადი საწვრთნელ ბაზაში მათთან ერთად ვცხოვრობდი. არაერთხელ დავსწრებივარ დიდ საფეხბურთო ბატალიებს — ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატები დამამახსოვრდა. ამ დღეებში ესპანეთში ვაპირებ გამგზავრებას და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე, ალბათ, კიდევ ერთ წიგნს დავწერ.

● ბოლო დროს განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა ლაშქრობა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის. თქვენ როგორ აფასებთ ამ ტენდენციას?

— ფიზკულტურა, ფიზიკური აღზრდა რომ აუცილებელია, ჩვენმა უძველესმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, ფიზიკურმა ვარჯიშმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მართალია, მასობრიობისათვის ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კარგად აქვს ნათქვამი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს — სპორტი უმრავლესობისთვის ჯერჯერობით მხოლოდ სანახაობად რჩება.

● ადრე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიით სისტემატურად ბეჭდავდა წიგნებს სპორტულ თემაზე...

— ჩვენ გვაქვს საშუალება კვლავ განვაახლოთ ეს სერია, მაგრამ, სამწუხაროდ, თვით სპორტული ჟურნალისტები, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, არაფერს გვთავაზობენ. რა თქმა უნდა, არც ისეა საქმე, რომ ოღონდ მოისურვოს ვინმემ და გამომცემლობა ფართოდ გაუღებს კარებს. წიგნის ავტორობაზე პრეტენზია ბევრსა აქვს, მაგრამ საამისოდ მარტო სურვილი არ კმარა. თუ მასალა დილეტანტურად, დაბალ პროფესიულ დონეზეა დაწერილი, ენობრივად და აზრობრივად გაუმართავია, მათი გამოცემით ჩვენს სპორტს მხოლოდ ცუდ სამსახურს გავუწევთ. იმის თქმა მინდა, რომ სპორტული თემა ბევრს ხელწამოსაკრავი ჰგონია, არადა, სწორედ აქ არის საჭირო განსაკუთრებული ტაქტი და ზომიერება, დაკვირვება და ანალიზი. ბოლო დროს, რატომღაც, ბევრს მოეძალა სპორტზე, განსაკუთრებით კი ფეხბურთზე წერის მადა. თვითმიზნად ქცეული გატაცება კი საერთო საქმეს ვერაფერში წაადგება.

ესაუბრა ე. ბერიშვილი.

სურათებზე: გ. ფანჯიკიძე ლ. იაშინთან ერთად (ფოტო გადაღებულია მექსიკაში); ცნობილი ბრაზილიელი მასაჟისტი მ. ამერიგო საინტერესო მოსაუბრე გამოდგა; ლაშქრობის წინ— გ. ფანჯიკიძე (მარცხნივ) და სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ახვლედიანი.

ორი შეხვედრა

ამ დღეებში თბილისში სტუმრად იყო ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პარდუბიცეს კალათბურთელთა გუნდი „რუდა გვეზდა“, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის. ჩეხოსლოვაკიელმა კალათბურთელებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართეს თბილისის „დინამოსთან“. პირველ შეხვედრაში ანგარიშით 121:110 გაიმარჯვეს თბილისელებმა, მეორე მატჩი კი სტუმრებმა მოიგეს — 112:83.

* * *

სურათებზე: ზ. გრძელიძე მეტოქეთა კალათის მისადგომებთან; ბურთისთვის ბრძოლაში.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

საფალავნო, ანუ საჯილდაო ქვა

საინტერესოა, რომ სიტყვა ფალავანი სპარსულია და „მოჭიდავეს“, „გმირს“ ნიშნავს („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. VII, 1962 წ.) ასეთივე მნიშვნელობით იხმარება იგი შუა აზიის რესპუბლიკებში. ამ სიტყვას იმიტომ ვიხსენებთ, რომ ხალხური სპორტის სახეობა—საფალავნო ქვის აწევა, ასეთი სახელით მხოლოდ საქართველოში არ ყოფილა გავრცელებული.

ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას“ 1972 წლის მეექვსე ნომერში ამის შესახებ დაიბეჭდა ტაიტურე ბატირყულოვის საინტერესო წერილი, რომლის მიხედვით ვგებულობთ, რომ ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და ყაზახეთში საფალავნო ქვას „ფალვან ტაში“ (ფალავნის ქვა) ეწოდება. საფალავნო ქვებს, (თითოეულს 80-დან 200 კილოგრამამდე) ხალხის თავშეყრის ადგილებში დებენ. ამ ქვებთან ყოველ გამვლელს შეუძლია შეჩერდეს, და სინჯოს თავისი ძალა.

ზოგან მხოლოდ ერთი საფალავნო ქვა დევს. მას ყველა ვერ შეეჭიდება, რადგან 160 კილოგრამზე ნაკლები არ იქნება. ასეთ ქვას მხოლოდ ნამდვილი ფალავნები ეჭიდებიან. ვინც ასეთ ქვას ასწევს, მან ადგილი უნდა შეუცვალოს, ვიდრე სხვა ფალავანი მოვა და ძველ ადგილზე დააბრუნებს.

საფალავნო ქვა რაც შეიძლება პატარა მოცულობის და მრგვალი უნდა იყოს, რათა ადვილად შემოწვდეს ხელები. ასეთი ქვა მკერდამდე ან უფრო ზემოთ უნდა აიწიოს.

1982 წლის 24 თებერვალს „კინომოგზაურობის კლუბმა“ ტელეეკრანზე აჩვენა დოკუმენტური ფილმი ესპანეთზე, სადაც ბასკების ხალხური თამაშობანიც ვნახეთ, მათ შორის — ქვების აწევაც.

ეს ქვები სხვადასხვა ფორმისაა: ბურთივით მრგვალი, ცილინდრული და სხვა.

საქართველოში საფალავნო ანუ საჯილდაო ქვის შესახებ ცნობები ძველთაგანვე მოგვეპოვება. უფრო ახალი ცნობები გამოქვეყნებული აქვთ ზაქარია შერაზადაშვილს (ჟურნალი „დროშა“, 1953 წ. № 4) და გიორგი შატბერაშვილს (თხზულებანი ტ. IV). გ. შატბერაშვილი წერს: „საფალავნო ქვა, იგივე საჯილდაო ლოდი ვაჟკაცთა ღონის საცდელი. უმთავრესად მრგვალად „გამოკვერცხილი“. ამ ლოდის აწევას აძნელებს არა მარტო მისი სიმძიმე, არამედ ისიც, რომ ლოდი მრგვალი და ლიპია, მოუხელთებელი: ხელი არ ეკიდება...

ბავშვობაში, სოფელ გუდალეთის ეკლესიის ეზოში აღდგომის მეორე დღეს მინახავს როგორ ეჭიდებოდნენ ჭაბუკები საფალავნო ქვას. ასეთი ლოდი ყოფილა სოფელ თვალადშიც, ძლევის ქედზე, წმინდა გიორგის ეკლესიასთან... ამას წინათ ასეთივე ქვა ვნახე სოფელ მეტეხში ირაკლი გიორგის ძე მაღალაშვილის ეზოში.

ასეთი ლოდები ყოფილა რაჭაში (ბარაკონში) და სვანეთში. საჯილდაო ქვის აწევა გავრცელებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და აქა-იქ ჩვენს დრომდეც მოაღწია. დაწესებული იყო ქვის აწევის საფეხურები: ქარის გატარება მუხლამდე, მკერდამდე აწევა, თავზევით და ცხენზევით გადაგდება. ამის მიხედვით ჯილდოც სხვადასხვა იქნებოდა“.

საფალავნო ქვის, ანუ საჯილდაო (საჯილდოვე — გამარჯვებული იღებდა ჯილდოს) ქვის შესახებ პირად საუბარში მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ფიზკულტურის სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგემ შალვა მუხიგულაშვილმა მითხრა, რომ ასეთი ქვები მასაც უნახავს ქართლის სოფლებში. ისინი სხვადასხვა ფორმის ყოფილა. ზოგს დასაჭიდომადაც იყენებდნენო.

ამ რამდენიმე ხნის წინათ (1966 წელს) ატენის სიონის ეზოში მაჩვენეს წისქვილის ქვის მსგავსი, უფრო მცირე ზომის ქვა. ქვის ნახვრეტში კაცი ხელი ეტეოდა. დღესასწაულზე, როცა აქ ხალხი იკრიბებოდა, ქვაში ხელს გაუყრიდნენ და აწევაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთ დღესასწაულზე ქვის აწევაში ერთ ქალიშვილსაც მიუღია მონაწილეობა. ქვა, რომელსაც თითო-ოროლა კაცი თუ აწევდა, ამ ქალსაც აუწევია.

საფალავნო ქვის აწევა ჩვენში დიდი ხანია მივიწყებულია, მაგრამ ქვები აქა-იქ კიდევაა შემორჩენილი. კარგი იქნებოდა, თუ ჩვენში ამ ტრადიციის აღდგენას სათანადო ყურადღება მიექცევა.

შ. გოგატიშვილი,

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ადგილებიდან გვატყობინებენ

იმედის სტარტები

ტყიბულის ცენტრალურ სტადიონზე განათლების განყოფილებამ ჩაატარა ბავშვთა საკავშირო სპორტული თამაშების — „იმედის სტარტების“ საქალაქო ასპარეზობა, რომლის სტარტზე გამოვიდა ქალაქისა და სოფლის სკოლების 420 მოსწავლე. მე-5 კლასელთა შეჯიბრებაში უძლიერესი გახლდათ ტყიბულის № 1 სკოლის ნაკრები, რომელმაც II ადგილი დაიკავა მე-7 კლასელთა ტურნირშიც, სადაც პირველობა წილად ხვდათ მე-6 სკოლის სპორტსმენებს.

ე. ბაქრაძე.

●

ზუგდიდის საქალაქო

ზუგდიდის სტადიონზე ჩატარდა მოსწავლეთა პირადგუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ასპარეზობაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს მიეძღვნა, საშუალო და რვაწლიანი სკოლების კოლექტივები მონაწილეობდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს I საშუალო სკოლის სპორტსმენებმა (დირექტორი ლ. ციმინტია, ფიზაღზრდის მასწავლებლები — თ. ჭითანავა და რ. ბულია). მათ 50 ქულით ჩამორჩა და II ადგილზე გავიდა ქალაქის მე-10 სკოლის ნაკრები.

პირად პირველობაში გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პირველი სკოლის მოსწავლეები გ. ჩიქობავა, მ. ცხადაია, დ. ჭელიძე, აგრეთვე, მე-12 სკოლის მოსწავლე ჰ. შონია, მე-5 სკოლელი ვ. ხახლოვა, მე-10 სკოლელი ე. ბონდარენკო.

ბ. ალშიბაია.

●

პიონერულ რაზმეულებს შორის

ვანის სკოლების 20 პიონერული რაზმეული მონაწილეობდა პიონერულ ოთხჭიდელთა შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაში იყო 60, 500 და 800 მეტრზე რბენა, სიმაღლეზე ხტომა, ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა.

60 მეტრზე რბენაში გამარჯვება მოიპოვეს ხათუნა კვაჩიძემ (ამაღლების სკოლა) და ვეფხია გეგიძემ (მუქედის 8-წლიანი სკოლა), ბურთის ტყორცნაში — ნინო თევზაძემ და თემურ მეფარიშვილმა (ორივე — ტობანიერის საშუალო სკოლა). სიმაღლეზე ხტომაში ტოლი არ ჰყავდათ ვალენტინა კოპალაძეს (ზეინდრის რვაწლიანი სკოლა) და ვ. გეგიძეს. 500 მეტრზე გოგონების შეჯიბრება მოიგო ეკა დოღონაძემ (ქალაქის პირველი საშუალო სკოლა), ხოლო ვაჟებს შორის 800 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ტ. ტყეშელაშვილმა (ამაღლება). საერთო გუნდურ ჩათვლაში ამაღლებელებმა იმარჯვეს.

ი. ნიკოლეიშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

●

გარდამავალ თასზე

„კოლმეურნეს“ სამტრედიის საბჭომ და რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ რედაქციამ „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩაატარეს XVIII ტრადიციული შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში გაზეთ „წინსვლის“ გარდამავალ თასზე. შეჯიბრებაში 134 კროსმენი მონაწილეობდა, მათ შორის 44 ქალი. ქალთა შორის 500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა მ. კოხრეიძემ (იანეთის კოლმეურნეობა). ვაჟთა შორის 1000 მეტრზე რბენაში იმარჯვა შ. ვაშაკიძემ (დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი).

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კროსმენებმა, II და III ადგილებზე გავიდნენ კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმისა და იანეთის კოლმეურნეობის გუნდები.

49 კროსმენმა შეასრულა მშთ კომპლექსის ნორმატივები, 16 სპორტსმენმა — სათანრიგო მოთხოვნები.

ნ. იორამაშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

●

სპორტული ჩოხატაური

დამთავრდა რაიონული პირველობა ლელობურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და ჩოხატაურის 93-ე სოფლის ტექნიკური სასწავლებლის გუნდები. გაიმარჯვეს ტექნიკუმელებმა — 12:5.

ფეხბურთში „ტყავის ბურთის“ პრიზზე ფინალური შეხვედრა კოხნარისა და საჭამიასერის საშუალო სკოლების უფროსი ასაკის გუნდებს შორის მოიგეს საჭამიასერელმა მოსწავლეებმა.

რამდენიმე დღის მიმდინარეობდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა. კალათბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რაიონის საშუალო სკოლების ვაჟთა გუნდები.

ფრენბურთში პირველი ადგილი დაიკავა შუაგანახლების საშუალო სკოლის გუნდმა.

კალათბურთელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა № 1 საშუალო სკოლის გუნდმა.

დ. ბურჯანიძე.

4 და 5 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი) 2:0 (1:0)

ტაშკენტი. „ფახთაქორის“ ცენტრალური სტადიონი. 4 ივნისი.

„ფახთაქორი“: რაშიდოვი, იაკიმცოვი, ბელიალოვი, ჟურავლიოვი, დენისოვი, პეტრუშინი, ბონდარენკო, იაკუბიკი, კაბაევი (ბაიმეტოვი), ამრიევი, სემენკო (ფილკინი).

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ანდღულაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი (არზიანი), კაკილაშვილი, სვანაძე, თავაძე, ყვანია, ჯოხაძე, მესხი (გურული).

მსაჯი ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

გააფრთხილეს ყვანია.

დუბლიორები — 0:2. ბურთები გაიტანეს ბარათაშვილმა და ფრიდონიშვილმა.

კვლავ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ თბილისის „დინამოს“ დიდი რაოდენობით აკლია წამყვანი ფეხბურთელები და ამის გამო გუნდი თავის შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო დაბლა თამაშობს, მწვრთნელებს ამჯერად მოუხდათ ორი დებიუტანტის გამოყვანა (არზიანი, გურული). ასეთ მძიმე ვითარებაში დინამოელთა წინააღმდეგ მეტოქეები საგანგებო მობილიზებით თამაშობენ, მით უმეტეს „ფახთაქორი“, რომელიც ახლა ლიდერთა შორის იმყოფება.

მასპინძლებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჰქონდათ საგრძნობი უპირატესობა, მეტოქის კართან მათ მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს.

რამდენიმე წუთის დაწყებული იყო თამაში, როცა სტუმრების მხარეს დაინიშნა კუთხური. მოაწოდა ამრიევმა, ბურთი მოხვდა ძელს, შემდეგ — ჟურავლიოვს და მან ანგარიში გახსნა — 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა შეძლეს კონტრთამაშის შექმნა, ენერგიულად მოქმედებდნენ ჯოხაძე, ყვანია, გურული, მთელ რიგ შემთხვევებში „ფახთაქორის“ საჯარიმო მოედანზე იქმნებოდა სახიფათო ვითარებანი, მაგრამ 62-ე წუთზე ამრიევმა მეორე ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში და მასპინძელთა გუნდმა გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

* * *

4 ივნისს ბაქოს „ნეფთჩიმ“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:1 დაამარცხა კიევის „დინამო“.

გუშინ ქუთაისში გაიმართა ადგილობრივი „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ შეხვედრა.

მეტოქენი სატურნირო ცხრილის ბოლოში, მეზობლად იყვნენ განლაგებულნი და ამ გარემოებამ განაპირობა კიდეც მწვავე, უკომპრომისო ორთაბრძოლა.

თამაში, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“	14	8	3	3	20—14	19
„დინ.“ მნ.	12	7	3	2	18—12	17
„მეტალის.“	13	6	4	3	15—9	16
„ფახთაქ.“	13	5	6	2	12—10	16
„სპარტ.“	12	5	4	3	16—9	14
„ყუბანი“	13	5	4	4	20—17	14
„დინამო“ მ.	13	5	2	6	16—16	12
„ნეფთჩი“	12	5	2	5	16—18	12
„დინამო“ კ.	10	4	4	2	14—7	12
„ქაირათი“	13	4	4	5	15—18	12
„დინ.“ თბ.	10	4	3	3	15—15	11
„ზენიტი“	12	3	5	4	10—10	11
„დნეპრი“	12	3	5	4	12—17	11
„ტორპ.“ მ.	12	3	4	5	8—10	10
ცსკა	12	4	1	7	12—18	9
„ტორპ.“ ქ.	13	2	5	6	14—20	9
„ჩერნომ.“	13	1	7	5	9—14	9
„შახტ.“	13	1	6	6	9—17	8

საკოორდინაციო თათბირი

ამას წინათ ლენინგრადში მოეწყო ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურის ინსტიტუტების ფეხბურთის კათედრის გამგეების, ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან მომუშავე კომპლექსურ-სამეცნიერო ჯგუფების ხელმძღვანელთა საკოორდინაციო თათბირი და საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გაფართოებული პლენუმი.

განიხილეს საკავშირო სპორტკომიტეტის 1981 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების — „ფეხბურთში სამეცნიერო-საკვლევო და მეთოდური მუშაობის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა, აგრეთვე, მოისმინეს მოხსენებები შემდეგ თემებზე: „უმაღლესი კვალიფიკაციის ფეხბურთელთა მომზადებისა და დაოსტატების სისტემის მართვა“, „ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში, ბავშვთა და ჭაბუკთა სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებში მუშაობის წლიური ციკლის დაგეგმვის სისტემა“, „ფეხბურთში მასობრიობის სისტემის მართვა“ და სხვ.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები. საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრად აირჩიეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ბაქანიძე.

● გაიცანით ფინალისტი

სალვადორი

სალვადორის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1937 წელს და ერთი წლის შემდეგ ფიფა-ს წევრი გახდა. აქ პირველ ლიგაში 12 კლუბი გამოდის, სეზონი 11 თვეს გრძელდება. თასის ფინალური შეხვედრები, მნიშვნელოვანი მატჩები ტარდება ქვეყნის უდიდეს „ესტადიო ნასიონალზე“, რომელიც 40 ათას მაყურებელს იტევს.

სალვადორელი ფეხბურთელები უწინ სისტემატურად გამოდიოდნენ ცენტრალური ამერიკის გუნდების ტურნირებზე, 1943 წელს ამ ნაკრებმა კოსტა-რიკის გუნდთან ერთად I-II ადგილები გაიყო ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ჩემპიონატში, 1954 წელს კი გამარჯვებაც მოიპოვა ამ შეჯიბრებაზე. 1967 წელს ამ ქვეყნის უძლიერესმა კლუბმა „ალიანცამ“ ცენტრალური ამერიკის თასი მოიპოვა. 1969 წელს სალვადორელებმა დიდი წარმატებით ითამაშეს მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში. მაშინ მათ ჰონდურასელებთან 3 მატჩის გამართვა მოუხდათ. როცა მეხიკოში, ნეიტრალურ მინდორზე სალვადორელებმა ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს, ამ ქვეყნებს შორის ატყდა ნამდვილი ომი, რომელიც 100 დღეს გაგრძელდა და 3000 კაცი შეიწირა. საინტერესოა, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში სალვადორელთა ნაკრებს თან 25 ათასი (!) გულშემატკივარი გაჰყვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკრები დამარცხდა სსრ კავშირის, ბელგიისა და მექსიკის გუნდებთან, მაგრამ თვით ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობის ფაქტიც სალვადორელებმა დიდ წარმატებად მიიჩნიეს.

ახლა სალვადორელებმა კიდევ ერთხელ მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება, მაგრამ, როგორც პრაღის „გოლი“ იუწყება, ამ ქვეყანას ფეხბურთისთვის მაინცდამაინც არ სცალია. ხუნტა, ტერორი, სამოქალაქო ომი, დიდი პრობლემები... ფეხბურთელები საკუთარ თავს არიან მინდობილი და რაიმე ილუზიები ესპანეთში გამგზავრების წინ არცა აქვთ.

„ჩვენ აუტსაიდერები ვართ, მცირედითაც კმაყოფილი ვიქნებით“. — აი, სალვადორის ფეხბურთის მესვეურთა აზრი. ლიგის კალენდარულ მატჩებს ძალზე ცოტა გულშემატკივარი ესწრება — 500-დან 2000-მდე. როცა ყველაზე პოპულარული კლუბები „აგუილა“ და „ატლეტიკო მარტე“ თამაშობენ, მაშინ ოდნავ მეტი მაყურებელია. ნაკრების მწვრთნელი როდრიგესი სისტემატურად ესწრება ამ მატჩებს, ამოწმებს საუკეთესო ფეხბურთელთა ფორმას, თუმცა, როგორც მიმომხილველები იუწყებიან, დიდი არჩევანი მას არა აქვს.

საინტერესოა, რომ როდრიგესი ახლო წარსულში თვით იყო სალვადორის № 1 ფეხბურთელი. სწორედ მან გაიტანა მესამე, გადამწყვეტი გოლი ჰონდურასელთა კარში, რასაც ომი მოჰყვა! შემდეგ თამაშობდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. მაშინ გუნდს ჩილიელი ჰ. კარასკო წვრთნიდა.

როდრიგესის, როგორც მწვრთნელის, კარიერა წარმატებით წარიმართა. მისი გუნდი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში. აქ 2 ეტაპი იყო: წინასწარი და დასკვნითი ტურნირები. წინასწარ თამაშებში სალვადორელებმა შეტევითი ფეხბურთი აჩვენეს, 10 გოლი გაიტანეს. კოსტარიკელებთან პირველი გამარჯვების (2:0) შემდეგ მეტოქეებმა მეორე მატჩის გამართვა აღარ ისურვეს, რისთვისაც წაგება ჩაეთვალათ. დასკვნით ტურნირში გასვლამდე სალვადორელებს კიდევ მოუხდათ ჰონდურასის ნაკრებთან შეხვედრა, რომელიც მოიგეს კიდეც — 1:0, თუმცა დამარცხებულებმაც მოიპოვეს შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება. დასკვნით ტურნირში 2 საგზურისთვის თამაშობდნენ მექსიკის, სალვადორის, ჰონდურასის, კანადის, კუბისა და ჰაიტის გუნდები. აქ სალვადორელებმა 2 მატჩი მოიგეს ერთნაირი ანგარიშით 1:0 (მექსიკელებსა და ჰაიტელებთან), ერთი წააგეს (კანადელებთან — 0:1), 2 ფრედ ითამაშეს ერთნაირი ანგარიშით (0:0) ჰონდურასისა და კუბის გუნდებთან. ასე რომ, ესპანეთში გამგზავრების უფლება მათ მიიღეს ბურთების სხვაობით 2—1!

თუ სუსტ გუნდებთან სალვადორელები, როგორც წესი, ბევრს უტევდნენ, უკვე დასკვნით ტურნირში მათ აქცენტი დაცვაზე აიღეს. ეტყობა, ისინი ასევე აპირებენ თამაშს ესპანეთშიც. გუნდს ჰყავს ძლიერი მეკარე ლუის რიკარდო გევარა, რომელსაც არაერთხელ უხსნია ხიფათისგან თავისიანები. დაცვაში გამოირჩევა გუნდის კაპიტანი ხოსე ნორბერტო ჰუეზო, შუა ხაზზე — ტექნიკური ხორხე გონზალესი, რომელსაც სალვადორში „ცენტრალური ამერიკის მარადონას“ უწოდებენ. თავდამსხმელთა შორის საუკეთესოა ერნანდესი, სწორედ ის, რომელმაც მექსიკელებთან 81-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა და ეროვნულ გუნდს ესპანეთის საგზური მოუტანა.

არგენტინის, ბელგიის, უნგრეთის გუნდების წინააღმდეგ სალვადორელები, ეტყობა, ბევრს ვერაფერს გახდებიან. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ელჩესა ან ალიკანტეში ერთი გოლი მაინც გაიტანეს, ესეც დიდი საქმე იქნება.

მ. ედიბერიძე.

● ხელბურთი

უშეღავათო, დაძაბულ ბრძოლაში...

— **არ მეგონა** ქართველ ხელბურთელებს უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის თუ მოუწევდათ ბრძოლა — ასე დაიწყო საუბარი საბჭოთა კავშირის ხელბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **ა. ევტუშენკომ**. — ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხომ საკმაოდ ბევრი მაღალი კლასის მოთამაშეა. მიუხედავად იმისა, რომ თქვენს გუნდს „მოკლე" სათადარიგო სკამი აქვს, თბილისელებს აუტსაიდერთა რიგებს მაინც არ მივაკუთვნებ. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის აღიარებული კოლექტივი, ჩვენი ხელბურთის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელი შეინარჩუნებს ადგილს „მზის ქვეშ".

მართლაც საწყენია, მაგრამ ფაქტია, რომ მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ თბილისელი ხელბურთელები დღეს უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან.

ოთხთა ტურნირის პირველ დღეს უმაღლესი ლიგის წარმომადგენლები ჩელიაბინსკის „პოლიოტი" და თბილისის „ბურევესტნიკი", ასე ვთქვათ, „გამომცდელთა" როლში გამოვიდნენ. მათი მეტოქენი, პირველი ლიგის წარმომადგენლები — ლიტვის ქალაქ შიაულიაის „ტაურასი" და ლვოველი არმიელები იყვნენ. ორივე შემთხვევაში გამარჯვება რანგით უფროსებს ხვდათ წილად, თუმცა ბრძოლის სურათი სხვადასხვა გახლდათ.

ჩელიაბინსკელებმა მატჩის მხოლოდ მეორე ნახევარში შეძლეს გაეტეხათ ლიტველთა მედგარი წინააღმდეგობა — 28:16 (11:13). ყოველივე ეს განაპირობა მათმა გამოცდილებამ და კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ.

თბილისელ და ლვოველ ხელბურთელთა შეხვედრა ძალზე დაძაბულად წარიმართა. დასაწყისში უპირატესობა აშკარად არმიელთა მხარეს იყო. მათ გამუდმებულ იერიშებს, კომბინაციურ თამაშს მასპინძელთა დაცვა, მეკარე ა. კომახიძის თავგანწირული თამაშის მიუხედავად, ვერ უმკლავდებოდა. მხოლოდ მე-13 წუთზე შეძლო ა. ნაჭროზაშვილმა თავისი გუნდის დაწინაურება და ეს ერთქულიანი სხვაობა „ბურევესტნიკმა" ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნა — 13:12.

მეორე ნახევარიც თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შეტევისას არაზუსტმა ტყორცნებმა და გადაცემებმა, დაცვაში შეცდომებით თამაშმა არც ერთ გუნდს არ მისცა საშუალება ბურთების საკმაო მარაგით დაწინაურებულიყო. ჯერ არმიელები გავიდნენ წინ თავიანთი კაპიტნის ს. ორლოვის აქტიური თამაშის წყალობით — 20:18, 21:19, მაგრამ თბილისელებმა იქვე გაათანაბრეს ანგარიში და მატჩის მიწურულში, ჯერ ვ. ბერიაშვილმა (ინდივიდუალური გარღვევით), შემდეგ თ. საჯაიამ, და ბოლოს კვლავ ვ. ბერიაშვილმა (7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნით) სხვაობა ანგარიშში სამ ქულამდე გაზარდეს — 27:24. ამის შემდეგ ი. კულიბაბამ და ს. ორლოვმა ორი შედეგიანი ტყორცნა განახორციელეს, მაგრამ უფრო მეტისთვის ლვოველებს დრო აღარ დარჩათ. თბილისელებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 27:26.

მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე ამ დღეს ვ. ბერიაშვილი იყო — 11 გოლი (აქედან — 5 — „პენალტით"). ა. ანპილოგოვმა 6-ჯერ, ხოლო ა. ნავროზაშვილმა 5-ჯერ აიღეს მეტოქის კარი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა თბილისელმა ვ. შაბლოვმა. იგი მხოლოდ რამდენიმე წუთით გამოჩნდა მოედანზე და აქტიური თამაშით გუნდს ორი ბურთი და ერთი 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნის უფლება მოუტანა. როგორც ჩანს, უფრო მეტად უნდა ვენდოთ ახალგაზრდებს. ვფიქრობთ, თბილისის „ბურევესტნიკისათვის" ეს დღეს ყველაზე სწორი გზა იქნება.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

* * *

გუშინ „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში გაიმართა ოთხთა ტურნირის მეორე ტურის მატჩები.

ლვოვის ასკ-ა შეხვდა ჩელიაბინსკის „პოლიოტს". ანგარიშით 21:20 (8:4) გაიმარჯვა „პოლიოტმა".

შიაულიაის „ტაურასისა" და თბილისის „ბურევესტნიკის" მატჩი დამთავრდა ფრედ—30:30 (16:16).

დღეს ტურნირზე დასკვნითი დღეა: ასკ ხვდება „ტაურასს" (9.30), ხოლო „ბურევესტნიკი" — „პოლიოტს" — (10.45).

◆

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა გუნდის კაპიტანმა ვ. ბერიაშვილმა გაარღვია ლვოველთა მახირებული დაცვა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ჭადრაკი

დაწინაურდნენ არმიელები

კისლოვოდსკში მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდებს შორის. ორი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

აი, როგორია განვლილი მატჩების საბოლოო შედეგები: I ტური. „დინამო" — „ლოკომოტივი" — 5,5:4,5, შეიარაღებული ძალები — „ზენიტი" 6,5:3,5, „ტრუდი" — „უროჟაი" 7,5:2,5, „ბურევესტნიკი" — „სპარტაკი" 6:3 (მეორედ გადაიდო გ. კასპაროვ — ი. ბალაშოვის პარტია); II ტური: „დინამო" — შეიარაღებული ძალები 3,5:6,5, „ზენიტი" — „უროჟაი" 6:3 (1), „ტრუდი" — „ბურევესტნიკი" 5:5, „ლოკომოტივი" — „სპარტაკი" 6,5:3,5.

ამრიგად, დაწინაურდა შეიარაღებული ძალების გუნდი — 13 ქულა, მას კვალში მოჰყვებიან „ტრუდი" — 12,5 (1), „ბურევესტნიკი" — 11 (1).

განვლილ ორ ტურში ბევრი საინტერესო შეხვედრა გაიმართა. მაგალითად, შეიარაღებული ძალები — „დინამოს" მატჩში ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო მ. ჩიბურდანიძეს, „სპარტაკის" გუნდის პირველი სამეული (ტ. პეტროსიანი, გ. კასპაროვი და რ. ვაგანიანი) დამარცხდა „ლოკომოტივის" სამეულთან (ლ. პოლუგაევსკი, ბ. გულკო, ვ. რაზუვაევი).

ფინალის საგზურები გაიცა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საკავშირო პროფკავშირების ქალთა XI ჩემპიონატის ნახევარფინალი, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ზ. ლელჩუკმა (ლვოვი) და ტ. ვორონოვამ (რიგა) — 10,5-10,5 ქულა, III-IV — ოსტატმა ა. გრინფელდმა (კალინინგრადი) და ოსტატობის კანდიდატმა ა. შაფრანსკამ (რიგა) — 10-10, ამ უკანასკნელმა სპორტის ოსტატის ნორმატივი (9,5) შეასრულა. V ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ლ. ბელავენეცი (მოსკოვი) — 9,5.

ხუთივე მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს ჩემპიონატის ფინალში (1983 წ.).

საქართველოს წარმომადგენლებს ასეთი შედეგები აქვთ: საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას — 6, ოსტატობის კანდიდატ თ. კერესელიძეს — 2,5.

● ველოსპორტი

ლ ი დ ე რ ე ბ ი

საბჭოთა ველოსიპედისტები კვლავ წარმატებით გამოდიან ინგლისისა და ავსტრიის მრავალდღიან საერთაშორისო ასპარეზობებში.

ინგლისში „რძის ტურის" ბოლოსწინა, მეთერთმეტე ეტაპზე მასპინძელმა მ. ბელუმ გაიმარჯვა. მაგრამ პირად ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს ი. კაშირინი (დონის როსტოვი). საბჭოთა ნაკრებს პირველობა თითქმის განაღდებული აქვს.

ავსტრიაში უკან დარჩა სამი ეტაპი. ბოლო ეტაპზე წარმატება მოიპოვა ს. კოპირინმა (სსრ კავშირი) და ხელთ იგდო ლიდერობა, მას ოდნავ ჩამორჩება თანაგუნდელი პ. მუგიცკი.

სსრ კავშირის ველოსიპედისტები დაწინაურდნენ გუნდურ ჩათვლაში.

სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

8 ადგილის 10 პრეტენდენტი

ახლა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში 10 კოლექტივი მაინც აცხადებს პრეტენზიას იმ რვა ადგილისთვის, რომელთა მფლობელები შემდეგ საკავშირო მედლებისთვის იბრძოლებენ — მოსკოვის ტურის დამთავრებამდე ასპარეზობის ლიდერს, დედაქალაქის „სლავასაც" კი არ შეუძლია დამშვიდებული იყოს.

მოსკოვის ტურის მეორე დღის შეხვედრებში საქართველოს რეგბისტებმა გამარჯვება იზეიმეს: თბილისის „ლოკომოტივმა" დაამარცხა ლვოვის „სოკოლი" — 15:9, ხოლო ქუთაისის „სახლმშენმა" მოუგო კრასნოიარსკის „ეკსკავატორტიაჟსტროის" — 10:7 და სანუკვარი მიზნისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: „სლავა" (მოსკოვი) — ასკ (ალმა-ათა) — 56:6, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პოლიტექნიკი" (კიევი) — 21:4, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მონინო) — „ავიატორი" (კიევი) 10:10, „პრიმორეცი" (ლენინგრადი) — „ფილი" (მოსკოვი) — 12:12.

გათამაშების ცხრილი სადღეისოდ ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სლავა"	7	7	0	0	233—36	21
სსა	7	5	1	1	169—68	18
„ლოკ." მ.	7	5	0	2	156—70	17
„ლოკ." თბ.	7	4	1	2	76—66	16
„ავიატ." კ.	7	4	1	2	153—55	16
„სახლმშ." ქ.	7	3	1	3	57—79	14
„პრიმ." ლ.	7	3	1	3	114—133	14
„ფილი" მ.	7	3	1	3	73—95	14
„ეკსკ." კრ.	7	2	0	5	110—181	11
ასკ ა-ა.	7	2	0	5	54—172	11
„პოლ." კ.	7	1	0	6	40—84	9
„სოკ." ლვ.	7	0	0	7	59—255	7

● კალათბურთი

მოსკოვი — სამი გუნდით

რვა თვეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ვაჟთა პირველი ლიგის ტურნირი. ტაშკენტის „უნივერსიტეტმა" 26 კოლექტივს შორის უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა და უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა.

მეორე და მესამე პრიზიორებმა — ტაგანროგის „კრასნი კოტელშჩიკმა" და მოსკოვის „ალმაზმა" უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ—ტალინის „კალევსა" და კუიბიშევის „სტროიტელთან" ერთად მინი-ტურნირში უძლიერესთა სამი საგზური გაითამაშეს.

ნიკოლაევსა და ილიჩოვსკში ოთხწრიანი ასპარეზობის შედეგად პირველ სამეულში აღმოჩნდნენ — „სტროიტელი", „კალევი" და „ალმაზი", ამგვარად, მოსკოვის მესამე გუნდი (მწვრთნელი ე. ცინმანი) ცსკა-სა და „დინამოსთან" ერთად მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში გამოვა. ასეთი წარმატება „ალმაზს" პირველად ხვდა წილად.

სხვადასხვა მერიდიანზე

ოთხ დღეს გაგრძელდა მძლეოსანთა მარათონული რბენა სარატოვიდან ვოლგოგრადამდე. ამ ასპარეზობას, რომელიც სტალინგრადის ბრძოლის 40 წლის თავს მიეძღვნა, ფინიში ვოლგოგრადში ჰქონდა, მისი ორგანიზატორები იყვნენ სარატოვის იურიდიული ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები.

* * *

მოსკოვში გამართული ქვეყნის შეიარაღებული ძალების მძლეოსანთა შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზა მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ს. ლიტვინოვმა (დონის როსტოვი), მის მიერ ნატყორცნმა ურომ 83,98 მეტრი „იფრინა", **რაც 2,18 მეტრით აღემატება ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, კიეველი ი. სედიხის მიერ ორი წლის წინ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.** ლიტვინოვმა 4 მეტრზე მეტი მანძილით ჩამოიტოვა მეორე პრიზიორი, ქვეყნის ჩემპიონი ი. ნიკულინი (ლენინგრადი), რომლის შედეგია 79,20 მ.

* * *

მოსკოვში დამთავრდა საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა პირადგუნდური პირველობა საგზატკეცილო რბოლაში. ქალების შეჯიბრება 20 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით მოიგო ა. ლუკუტინამ („ლოკომოტივი") — 29.52,8, გუნდური რბოლა 25 კილომეტრზე ქვეყნის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 33.44,5. ჯგუფური შეჯიბრება 54 კილომეტრზე ი. კიბარდინას („ტრუდი") უპირატესობით აღინიშნა, კრიტერიუმში კი (25 კილომეტრზე) ბადალი არ ჰყავდა ასევე ცნობილ რ. ობოდოვსკაიას („ავანგარდი").

ვაჟებში დაყოფილი სტარტით 23 კილომეტრზე რბოლაში იმარჯვა ი. კაზაჩონკამ — 29.56,1, 64 კილომეტრზე კრიტერიუმში — ა. ევპაკმა (ორივე — „ უროჟაი"), 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში პირველობა წილად ხვდა „უროჟაის" — 2:04.09,9, ხოლო 163 კილომეტრზე ჯგუფურ შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა რკინიგზელი ვ. მალახოვი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

დასვენების დღე

მინიატურა ნატურიდან

— ამ შაბათს სანადიროდ მივდივარ, თუ გინდა, წამოდი!

— ნადირის ჭაჭანება აღარ არის და სანადიროდ რა გინდა?

— მონადირეებს ხომ ვნახავთ?

— შენ, ალბათ, ზღაპრების მოსმენა მოგენატრა.

— მაშინ, სათევზაოდ წავიდეთ...

— ხომ არ მოგვეცადა პატარა ხანს, ლიფსიტები წამოიზრდებოდნენ და...

— მოდი, მაშინ თოფისა და ანკესის ნაცვლად ორი ჩოგანი წამოიღე და ქალაქგარეთ, სადმე მდელოზე, ბადმინტონი გავაჩაღოთ.

— ვერ წამოვალ — მივლინების ანგარიში მაქვს დასაწერი.

— მაშინ მეც ბარემ მანქანას მივხედავ, თორემ, ამ ბოლო დროს „დროშკასავით" რახრახებს — ამორტიზაცია არ უვარგა.

— იქნებ მომავალ შაბათს ვიღონოთ რაიმე?

— მართალია, სანამ ჩვენ რამეს მოვიფიქრებთ, მანამდე ლიფსიტებიც წამოიზრდებიან.

— ნადირიც მომრავლდება ტყეში და...

— ჰოდა, ბადმინტონის თამაშიც სხვა დროისათვის გადავდოთ.

ა. გველესიანი.

გუშინ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, 23-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 25 (ციგაობა), 29 (სასტენდო სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი), 37 (საავტომობილო სპორტი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 27 (მშვილდოსნობა).

ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია

აცხადებს

მსურველთა მიღებას ცურვის გამაჯანსაღებელ ჯგუფებში (ოჯახური და ქალებისათვის) შემდეგ საათებში: 8 სთ. 19 სთ. 19-45 წთ. მიმართვების გაცემა იწარმოებს 10-13 ივნისამდე. მეცადინეობა დაიწყება 15 ივნისიდან.

სპორტულ გაზეთზე

ფეხბურთი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. 6 ივნისი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 XX
ИНДЕКС 66435
უე 08309